

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქი“

2022 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	11
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	12
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	12
2 შედგენის საფუძველი	12
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	12
2.2 მომზადების საფუძველი	12
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	12
2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება	13
2.5 ახალი და შესწორებული სტანდარდების გამოყენება	13
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	14
3.1 უცხოური ვალუტა	14
3.2 ძირითადი საშუალებები	15
3.3 არამატერიალური აქტივები	15
3.4 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	15
3.5 იჯარით აღებული აქტივები	16
3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	17
3.7 ფინანსური ინსტრუმენტები	17
3.8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	19
3.9 კაპიტალი	19
3.10 ანარიცხები	20
3.11 მოგების გადასახადი	20
3.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	20
3.13 შემოსავალი	21
4 ძირითადი საშუალებები	23
5 აქტივის გამოყენების უფლება	24
6 არამატერიალური აქტივები	24
7 მარაგები	25
8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
9 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	26
10 კაპიტალი და რეზერვები	26
10.1 საწესდებო კაპიტალი	26
10.2 უცხოური ვალუტის გადაანგარიშების რეზერვი	26
11 სესხები	26

12	იჯარა	27
13	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28
14	შემოსავალი	29
15	ფინანსური შემოსავლები და ხარჯები	29
16	შემდგომი მოვლენები	29
17	მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები	29
17.1	მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები	29
17.2	ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით	30
18	ფინანსური ინსტრუმენტები	31
18.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	31
18.2	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	31
19	ფინანსური რისკის მართვა	31
20	სამართლიანი ღირებულება	33
21	კაპიტალის რისკის მართვა	34
22	გაუთვალისწინებელი გარემოებები	34
22.1	დაზღვევა	34
22.2	გადასახადები	34
22.3	გარემოს დაცვა	35
23	ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია	35
24	დაკავშირებული მხარეები	36
24.1	მაკონტროლებელი ურთიერთობები	36
24.2	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	36
24.3	ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან	36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი, ისნის

რაიონი, ქეთევან წამებულის

გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“-ის დამფუძნებლებს*პირობითი მოსაზრება*

ჩავატარეთ შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“-ის („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ს აბზაცში განხილული საკითხებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად;

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, შესაბამისად, ვერ დავესწარიტ საანგარიშგებო წლის დასაწყისში და ბოლოს მარაგების ინვენტარიზაციას. ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით საკმარისი მტკიცებულების მოპოვება 2022 წლის 31 დეკემბერს არსებული მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 424,814 აშშ დოლარით. ამ საკითხთან მიმართებაში, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭიროებს თუ არა, ან რა ოდენობის კორექტირებას საჭიროებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ან აღურიცხავი მარაგები და მასთან დაკავშირებული მუხლები, რომელიც წარდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ზემოთ არწერილი მიზეზის გამო, ჩვენ ასევე ვერ დავესწარიტ წლის ბოლოს ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას. ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით საკმარისი მტკიცებულების მოპოვება 2022 წლის 31 დეკემბერს არსებული ძირითადი საშუალებების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 3,206,450 აშშ დოლარით. ამ საკითხთან მიმართებაში, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭიროებს თუ არა, ან რა ოდენობის კორექტირებას საჭიროებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებები და მასთან დაკავშირებული მუხლები, რომელიც წარდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერი მტკიცებულება, რათა განგვესაზღვრა კომპანიის მოერ გაწეული „მენეჯერული, დიზაინისა და საინჟინრო მომსახურება“ (იხ. შენიშვნა 14) 2,042,891 აშშ დოლარის ოდენობით - იყო, თუ არა სწორად კლასიფიცირებული როგორც - „შემოსავალი“, თუ წარმოადგენდა სესხებს, ან კაპიტალში შენატანს.

აუდიტის წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებით

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 17.217.2 -ზე. რომელშიც აღწერილია რომ ფინანსური მდომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახავს მნიშვნელოვან აკუმულირებულ ზარალს (3,385,868 აშშ დოლარი) (2021 წლის 31 დეკემბერი: 1,319,540 აშშ დოლარი), ასევე კომპანიას ჰქონდა მნიშვნელოვანი წმინდა ზარალი 2022 წლის (2,049,223 აშშ დოლარი) და 2021 წლის განმავლობაში (1,244,926 აშშ დოლარი), ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებები (8.5 მილიონი აშშ დოლარი) 5.9 მილიონი დოლარით აჭარბებს მიმდინარე აქტივებს (2.6 მილიონი აშშ დოლარი).

შენიშვნა 17.2 ასევე ცხადყოფს, რომ კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობა, სადაც საავადმყოფო ფუნქციონირებს. იჯარის ვადა არის 6 წელი და შეიძლება გაუქმდეს ორივე მხარის მიერ არსებითი შეწყვეტის საფასურის დაკისრებით.

ასევე ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-16 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია, რომ იჯარის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „აწარმოე საქართველომ“ შეწყვიტა ხელშეკრულება შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქთან“ და მოითხოვა დაფინანსებული თანხის დაბრუნება, რომელიც შეწყვეტის თარიღისთვის, შეადგენს 466,867 ლარს (182,835 აშშ დოლარის ექვივალენტი, 2023 წლის 4 აპრილის გაცვლითი კურსის შესაბამისად).

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი სხვა საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა წავიკითხოთ ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგება და გამოვხატოთ მოსაზრება იმაზე, არის თუ არა ამ ანგარიშში ასახული ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებულ ინფორმაციასთან და წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება იმაზე მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ ვაცხადებთ არაფერს.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებაა:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია ფინანსურ ანგარიშგებასთან და

- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელი შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი

განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

შპს გრანტ თორნტონის სახელით

ქეთევან ღამბაშიძე
თბილისი, საქართველო
14 ნოემბერი, 2023



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აშშ დოლარი	მენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,206,450	1,998,831
არამატერიალური აქტივები	5	65,887	77,162
აქტივის გამოყენების უფლება	6	7,197,951	8,090,429
		10,470,288	10,166,422
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	424,814	448,051
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,047,874	99,950
ფულადი ზღვრები და საბანკო ანგარიშებზე	9	130,816	92,991
		2,603,504	630,992
სულ აქტივები		13,073,792	10,797,414
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	10.1	2,984,405	1,794,874
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების რეზერვი	10.2	37,478	20,373
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(3,385,868)	(1,319,540)
		(363,985)	495,707
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12	4,982,010	6,632,911
		4,982,010	6,632,911
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4,087,064	1,656,635
სესხები	11	1,187,512	125,683
საიჯარო ვალდებულება	12	3,181,191	1,886,478
		8,455,767	3,668,796
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,073,792	10,797,414

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 14 ნოემბერს:

ერჯან აიილიძე

დირექტორი

ირაკლი ფოლადაშვილი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-36 პუნქტებზე), ეროვნულ რეგულაციებზე წარმოდგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

აშშ დოლარი		2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
	შენიშვნა		
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	15,518,162	1,654,150
სხვა შემოსავალი		238,370	5,473
სულ შემოსავალი		15,756,532	1,659,623
ხელფასის ხარჯი		9,129,556	1,327,227
ინვენტარი და მასალის ხარჯი		4,360,773	118,867
ცვეთა და ამორტიზაცია		2,384,513	949,243
კომუნალური ხარჯი		838,893	119,903
გაწეული მომსახურების ხარჯი		512,360	-
კონსულტაციის ხარჯი		303,344	176,508
მარკეტინგული და რეკლამის ხარჯი		73,052	93,704
უიმედო ვალების ხარჯი		166,624	-
ბანკის საკომისიო		86,269	6,350
საოფისე ხარჯი		31,521	29,039
წარმომადგენლობითი ხარჯი		32,976	25,108
კომუნიკაციის ხარჯი		31,247	7,751
სარემონტო ხარჯი		26,319	913
დაზღვევის ხარჯი		23,733	1,871
ლიფტის მომსახურების ხარჯები		15,816	6,180
სხვა ხარჯები		198,782	9,602
სულ საოპერაციო ხარჯები		18,215,778	2,872,266
ფინანსური შემოსავლები	15	2,706	-
ფინანსური ნახარჯები	15	(674,788)	(355,900)
მოგება საკურსო სხვაობიდან		1,065,000	305,730
წლის ზარალი		(2,066,328)	(1,262,813)
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები რომლებიც მომავალში			
დაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში			
უცხოური ვალუტაში გადაანგარიშების			
კორექტირება		17,105	17,887
სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის			
გარეშე		17,105	17,887
წლის მთლიანი სრული ზარალი		(2,049,223)	(1,244,926)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

აშშ დოლარი	საწესდებო კაპიტალი	გადაანგარიშების რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	29,924	2,486	(56,727)	(24,317)
წლის ზარალი	-	-	(1,262,813)	(1,262,813)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	17,887	-	17,887
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	17,887	(1,262,813)	(1,244,926)
საწერდებო კაპიტალის ზრდა (იხ. შენიშვნა 10.1)	1,764,950	-	-	1,764,950
ოპერაციები მფლობელებთან	1,764,950	-	-	1,764,950
2021 წლის 31 დეკემბერი	1,794,874	20,373	(1,319,540)	495,707
წლის ზარალი	-	-	(2,066,328)	(2,066,328)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	17,105	-	17,105
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	17,105	(2,066,328)	(2,049,223)
საწერდებო კაპიტალის ზრდა (იხ. შენიშვნა 10.1)	1,189,531	-	-	1,189,531
ოპერაციები მფლობელებთან	1,189,531	-	-	1,189,531
2022 წლის 31 დეკემბერი	2,984,405	37,478	(3,385,868)	(363,985)

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

აშშ დოლარი	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული საოპერაციო საქმიანობიდან			
ფული პროფესიული, დიზაინისა და საინჟინრო მომსახურებიდან		2,042,890	1,308,636
ფული ჯანდაცვის მომსახურებიდან		11,433,375	229,014
ფული საკონსულტაციო მომსახურებიდან		-	102,669
გადახდილი ხელფასები		(6,305,901)	(869,669)
გადახდილი გადასახადები		(1,672,942)	(216,340)
ინვენტარის შეძენისთვის გადახდილი ფული		(2,932,663)	(194,228)
გადახდილი მომსახურებების ღირებულება		(587,969)	-
გადახდილი საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი		(189,221)	(136,960)
მარკეტინგულ მომსახურებაზე გადახდილი ფული		(41,124)	(46,459)
კომუნალური მომსახურებები		(869,377)	(41,942)
გადახდილი წარმომადგენლობითი ხარჯი		(22,690)	(22,186)
გადახდილი დაზღვევის ხარჯი		(12,566)	(11,835)
საბანკო მომსახურება		(62,682)	(7,622)
კომუნიკაციის ხარჯი		(31,452)	(6,655)
მივლინების ხარჯი		(1,612)	(3,820)
გადახდილი ლიფტის მომსახურების ხარჯი		(19,118)	(2,076)
სხვა გადახდები		(431,514)	(80,757)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		295,434	(230)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(935,389)	(2,172,135)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		101,476	-
მიღებული პროცენტები		2,706	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		(831,207)	(2,172,135)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10.1	667,510	1,764,950
ფული წილის გადაცემიდან	13	-	500,000
ფულის შემოსვლა სესხებიდან და საიჯარო ვალდებულებებიდან	23	1,034,080	145,183
სესხებისა და საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	23	(351,734)	(48,289)
გადახდილი პროცენტები		(749,166)	(8,959)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან		600,690	2,352,885
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		64,917	180,520
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა		(17,092)	(98,503)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში		82,991	974
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		130,816	82,991

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“ დაარსდა 2019 წლის დეკემბერში შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის (DFC) მხარდაჭერით და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად.

25 000 მ² ფართობის, 183 საწოლიანი „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქი“ მუშაობს საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სერვისებით. ჰოსპიტალი იცავს მმართველობით თანამედროვე კონცეფციას, რომლითაც უზრუნველყოფს პაციენტებზე ორიენტირებულ, მაღალხარისხიან სამედიცინო მომსახურებას. სწორედ ამიტომ AHT-ს გააჩნია ამბიცი - შეცვალოს საქართველოსა და რეგიონის სამედიცინო რუკა, კერძოდ საქართველოში გაიხსნას პრიველი გლობალური მასშტაბის ჰოსპიტალი, რომელიც გაივლის „Joint Commission International (JCI)“-ის სრულ აკრედიტაციას

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2022 წელს იყო 815 თანამშრომელი (2021: 135 თანამშრომელი).

რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, დ.კლდიაშვილის ქ., N15, ბ. 56

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმოწერამდე სულ რაღაც რამდენიმე დღით ადრე ევროკომისიამ მიიღო 2023 წლის გაფართოების პაკეტი და რეკომენდაცია გაუწია საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ვინაიდან, მთავრობა დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს და ატარებს რეფორმებს, რათა ასახოს თავისი მოქალაქეების უმრავლესობის ნამდვილი მისწრაფებები კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

ეს უკანასკნელი მოვლენები არის დიდი შესაძლებლობა საქართველოსთვის, როგორც ქვეყნისთვის, ასევე საქართველოში მოქმედი ბიზნესებისთვის, რომ გაიზარდონ და მიაღწიონ ბევრად უკეთეს შედეგებს. მიუხედავად ამისა, მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში, ვინაიდან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის. აშშ დოლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულ დოლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-17 შენიშვნაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება შესაბამისად იმ წელს, როდესაც შეიცვლება გარემოებები.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2022 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შესაბამეა კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2022 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის.

ქვემოთ მოცემულია 2022 წელს განხორციელებული ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებსაც ზეგავლენა არ მოუხდენიათ კომპანიის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სანდარტი	სანდარტის ან ინტერპრეტაციის სახელწოდება
ფას 3	კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფას 3-ის ცვლილებები)
ბას 16	შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბას 16-ის ცვლილებები)
ბას 37	ერთჯერადი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯები (ბას 37-ის ცვლილებები)
ფას 1, ფას 9, ბას 41, ფას 16	2018-2021 წლების წლიური გაუმჯობესებები ფას სტანდარტებში (ფას 1-ის, ფას 9-ის, ბას 41-ისა და ფას 16-ის ცვლილებები)

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან, ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია აშშ დოლარში)

სტანდარტი	სანდარტის ან ინტერპრეტაციის სახელწოდება	ძალაში შესვლის თარიღი
ფასს 17	ცვლილებები ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებებში, მათ შორის ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების განვრცობა.	1 იანვარი 2023
ფასს 12	ფასს 12 გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად (ბასს 12-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2023
ფასს 17	ფასს 17-ისა და ფასს 9-ის საწყისი გამოყენება - შედარებითი ინფორმაცია (ფასს 17-ში შესწორება)	1 იანვარი 2023
ბასს 8	საადრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2023
ბასს 1	საადრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (შესწორებები ბასს 1-ში და პრაქტიკის განცხადება 2)	1 იანვარი 2023
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ბასს 1-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ფასს 16	საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და იჯარის დროს (ფასს 16-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ბასს 1	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით (შესწორებები ბასს 1-ში)	1 იანვარი 2024

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერებში ტრანზაქციები, რომლებიც განხორციელებულია ფუნქციონალური ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტებში, აღრიცხულია ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.8844 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი და ერთი ევრო 3.5040 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით).

საკუროს სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

კომპანიის აქტივები და ვალდებულებები ქართული ლარიდან გადაყვანილია აშშ დოლარში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაცვლითი კურსის მიხედვით. შემოსავლები და ხარჯები გადაანგარიშებულია აშშ დოლარში პერიოდის საშუალო კურსის გამოყენებით, ხოლო საკუთარი კაპიტალის მუხლები გადაანგარიშებულია ოპერაციების თარიღში ისტორიული კურსის მიხედვით. გაცვლითი კურსით მიღებული სხვაობა აღირიცხება სხვა სრულ შემოსავლებში და დაკრედიტებულია საკუთარ კაპიტალში უცხოური ვალუტის გადაანგარიშების რეზერვში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალით. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

სამედიცინო აღჭურვილობა	- 3 - 7 წელი
ოფისის აღჭურვილობა	- 5 - 7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 5 - 7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, ბალანსში წარდგენილია აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის თანხით შემცირებული თვითღირებულებით.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში და ამორტიზაცია აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 იჯარით აღებული აქტივები

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ძირითადი შენობა და სამედიცინო აღჭურვილობა. შენობის იჯარის ვადა არის 6 წელი შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით. სამედიცინო აღჭურვილობის იჯარის ვადა არის 3 წელი ყოველგვარი ვადის გაგრძელების გარეშე. კომპანია არ აფორმებს გაყიდვისა და უკუიჯარის ხელშეკრულებებს. ყველა იჯარაზე ხდება მოლაპარაკება ინდივიდუალურ საფუძველზე და შეიცავს სხვადასხვა პირობებს როგორცაა შესყიდვის ვარიანტები და ესკალაციის ღებულებები.

კომპანია განიხილავს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარა განისაზღვრება, როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის კონტროლის უფლების გადაცემას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იჯარის აღიარება და შეფასება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების ღრუბრულ ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტი. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და

საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 18.2-ში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით
- ფინანსური აქტივის სახელმეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და უმეტესი სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელმეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელმეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)

„დონე 3“ მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელმეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელმეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელმეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 8 დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 18.2-ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტი. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

3.8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ) ხორციელდება კომპანიის აქციონერების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალის ოდენობას, რომლიც რეალურად იქნა შეტანილი კომპანიაში მფლობელების მიერ.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების რეზერვი მოიცავს სხვაობას, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური ანგარიშგების ქართული ლარიდან აშშ დოლარში გადაანგარიშების შედეგად.

გაუნაწილებელი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ ზარალს.

დამფუძნებლებთან დაკავშირებული ოპერაციები, ანგარიშგებაში გამოყოფილია ცალკე.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.10 ანარიცხები

ანარიცხი უნდა აღიარდეს როდესაც საწარმოს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოს შეფასება. როდესაც ფულის დროითი ღირებულება არსებითია, ხდება ანარიცხების დისკონტირება, დისკონტირების განაკვეთით რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

საქართველოში მოქმედი დაბეგრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრიცხო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ

ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.13 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება სამედიცინო მომსახურებიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებებს შეუსრულებელი ვალდებულებების სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურებისთვის და ასახავს ამ თანხებს, როგორც ავანსებს კლიენტებისგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (იხ. შენიშვნა 13). ანალოგიურად, თუ კომპანია ასრულებს ვალდებულებას, მანამ სანამ სანაცვლოდ მიიღებს ანაზღაურებას, იგი აღიარებს სახელშეკრულებო აქტივს ან დებიტორულ დავალიანებას თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმისდა მიხედვით, საჭიროა თუ არა რაიმე სხვა, გარდა დროის გასვლისა, ანაზღაურების ვადის დადგომამდე.

შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

კომპანია შემოსავლებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

კომპანია მიერ კლიენტებისთვის გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიღებულ სარგებელს. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სახელმწიფოსგან – კომპანია სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაგენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
- ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებისგან - კომპანია სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაგენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
- ჯანდაცვის მომსახურებიდან თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა შემოსავალი - კომპანია თანაგადახდიდან მიღებულ და სხვა შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კომპანიის მიერ დამტკიცებული ფასების შესაბამისად. გაყიდვებიდან შემოსავალი მიიღება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით. სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული სხვა შემოსავალი მოიცავს შემოსავალს მუნიციპალიტეტიდან და

სხვა საავადმყოფოებიდან, რომლებთანაც კომპანიას სახელმწიფოებო ურთიერთობა აქვს. მომსახურების გაყიდვის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაიწია.

შემოსავალი წარმოდგენილია კორექტირებების და ფასდაკლებების გათვალისწინებით, რომლებიც კონტრაგენტებთან დეტალური ანგარიშების შეჯერების შედეგად წარმოიშობა. მთლიანი შემოსავალი (კორექტირებებისა და ფასდაკლებების გამოქვითვამდე) ეყრდნობა ოფიციალურ ანგარიშფაქტურებს, რომლებიც წარდგენილია მომხმარებლებისთვის და ოფიციალურად მიღებულია მათ მიერ (სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიები, პროვაიდერი კლინიკები და ფიზიკური პირები), და დანარიცხებს გაწეულ მომსახურებაზე, რომლებისთვისაც ანგარიშფაქტურები ჯერ არ არის გამოწერილი.

შემოსავალი საკონსულტაციო, დიზაინის და საინჟინრო მომსახურებიდან

საკონსულტაციო, დიზაინის და საინჟინრო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროის განმავლობაში, როცა კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია აშშ დოლარში)

4 ძირითადი საშუალებები

აშშ დოლარი	სამედიცინო ადჭურვილობა	ოფისის ადჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<i>თვითღირებულება</i>					
2021 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	-
შემოსვლა	1,918,362	42,120	40,875	-	2,001,357
უცხოური ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	76,377	1,678	1,628	-	79,683
2021 წლის 31 დეკემბერი	1,994,739	43,798	42,503	-	2,081,040
შემოსვლა	1,360,266	76,488	30,526	31,209	1,498,489
გასვლა	(115,512)	-	-	-	(115,512)
უცხოური ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	390,465	12,460	8,636	2,467	414,028
2022 წლის 31 დეკემბერი	3,629,958	132,746	81,665	33,676	3,878,045
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>					
<i>დაგროვილი ცვეთა</i>					
2021 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	-
წლის ცვეთა	75,939	1,168	1,954	-	79,061
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	3,023	47	78	-	3,148
2021 წლის 31 დეკემბერი	78,962	1,215	2,032	-	82,209
წლის ცვეთა	514,851	20,508	12,028	4,161	551,548
გასვლის შედეგად ელიმინირება	(16,502)	-	-	-	(16,502)
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	50,962	1,799	1,250	329	54,340
2022 წლის 31 დეკემბერი	628,273	23,522	15,310	4,490	671,595
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
2021 წლის 31 დეკემბერი	1,915,777	42,583	40,471	-	1,998,831
2022 წლის 31 დეკემბერი	3,001,685	109,224	66,355	29,186	3,206,450

ძირითადი საშუალებები 3,206,450 აშშ დოლარის ოდენობით (2021: 1,998,831 აშშ დოლარი) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგირავებულია, შპს SAYALI-ის (შენობის იურიდიულ მფლობელი იხილეთ შენიშვნა 5 და 12) მიერ აღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

ცვეთის ხარჯი დარიცხულია საოპერაციო ხარჯებში

ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია აშშ დოლარში)

5 აქტივის გამოყენების უფლება

აშშ დოლარი	შენობა	სამედიცინო აღჭურვილობა	სულ
<i>თვითღირებულება</i>			
2021 წლის 1 იანვარი	-	-	-
შემოსვლა	7,335,221	1,313,048	8,648,269
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	292,048	52,278	344,326
2021 წლის 31 დეკემბერი	7,627,269	1,365,326	8,992,595
შემოსვლა			
გასვლა		(117,696)	(117,696)
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	1,116,709	190,592	1,307,301
2022 წლის 31 დეკემბერი	8,743,978	1,438,222	10,182,200
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>			
2021 წლის 1 იანვარი	-	-	-
წლის ცვეთა	713,147	154,476	867,623
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	28,393	6,150	34,543
2021 წლის 31 დეკემბერი	741,540	160,626	902,166
წლის ცვეთა	1,350,550	470,415	1,820,965
გასვლის შედეგად ელიმინირება		(13,846)	(13,846)
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	215,348	59,616	274,964
2022 წლის 31 დეკემბერი	2,307,438	676,811	2,984,249
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
2021 წლის 31 დეკემბერი	6,885,729	1,204,700	8,090,429
2022 წლის 31 დეკემბერი	6,436,540	761,411	7,197,951

6 არამატერიალური აქტივები

აშშ დოლარი	ლიცენზიები და პროგრამული უზრნველყოფა	სავაჭრო ნიშანი	სულ
<i>თვითღირებულება</i>			
2020 წლის 31 დეკემბერი	65,966	-	65,966
შემოსვლა	8,400	1,260	9,660
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	4,146	51	4,197
2021 წლის 31 დეკემბერი	78,512	1,311	79,823
შემოსვლა	-	318	318
გასვლა	(9,236)	-	(9,236)
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	10,765	216	10,981
2022 წლის 31 დეკემბერი	80,041	1,845	81,886
<i>დაგროვილი ამორტიზაცია</i>			
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	-
წლის ცვეთა	2,517	42	2,559
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	100	2	102
2021 წლის 31 დეკემბერი	2,617	44	2,661

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია აშშ დოლარში)

აშშ დოლარი	ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	სავაჭრო ნიშანი	სულ
შემოსვლა	11,861	139	12,000
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	1,321	17	1,338
2022 წლის 31 დეკემბერი	15,799	200	15,999
საბალანსო ღირებულება			
2021 წლის 31 დეკემბერი	75,895	1,267	77,162
2022 წლის 31 დეკემბერი	64,242	1,645	65,887

არამატერიალური აქტივები საბალანსო ღირებულებით 65,887 აშშ დოლარი (2021: 77,162 აშშ დოლარი) დაგირავებულია შპს SAYALI-ს (შენიშვნის იურიდიულ მფლობელი იხილეთ შენიშვნა 5 და 12) მიერ აღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა ძირითადად წარმოადგენს სამედიცინო კლინიკის ავტომატური მართვის ელექტრონულ სისტემას, რომელიც შეძენილია 2020 წლის განმავლობაში და დანერგილია 2021 წლის სექტემბერში.

ამორტიზაციის ხარჯები დარიცხულია საოპერაციო ხარჯებში.

7 მარაგები

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სამედიცინო ინვენტარი	424,592	439,873
არა სამედიცინო ინვენტარი	222	8,178
	424,814	448,051

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური მარაგები საბალანსო ღირებულებით 424,814 აშშ დოლარი (2021 წლის 31 დეკემბერს: 448,051 აშშ დოლარი) დაგირავებულია შპს SAYALI-ს (შენიშვნის იურიდიულ მფლობელი (იხილეთ შენიშვნა 5 და 12) მიერ აღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები ჯანდაცვის მომსახურებიდან	2,192,870	11,616
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(179,798)	-
	2,013,072	11,616
არაფინანსური აქტივები		
ავანსები და წინასწარი გადახდები	34,802	88,334
	34,802	88,334
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,047,874	99,950

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია აშშ დოლარში)

სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტი არ არის დარიცხული.

შესადარისი პერიოდებისთვის კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება შემოწმდა გაუფასურების ინდიკატორებთან მიმართებით.

შენიშვნა 19 (ბ)-ში წარმოდგენილია საკრედიტო რისკთან დაკავშირებული განმარტებები, და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვთან დაკავშირებული ანალიზი. გაუფასურების დებულებების ზემოაღნიშნული შედარება ეყრდნობა ფასს 9-ს, რომელიც იყენებს მოსალოდნელი ზარალის მოდელს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით, იხილეთ შენიშვნა 19 (ა)-ში.

9 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	878	4,170
საბანკო ანგარიშები	129,938	78,821
	130,816	82,991

იხილეთ შენიშვნა 19, უცხოურ ვალუტაში დომინირებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების შესახებ.

10 კაპიტალი და რეზერვები

10.1 საწესდებო კაპიტალი

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საწესდებო კაპიტალი წლის დასაწყისში	1,794,874	29,924
შენატანი საწესდებო კაპიტალში	1,189,531	1,764,950
საწესდებო კაპიტალი წლის ბოლოს	2,984,405	1,794,874

10.2 უცხოური ვალუტის გადაანგარიშების რეზერვი

უცხოური ვალუტის გადაანგარიშების რეზერვი მოიცავს გადაანგარიშების სხვაობას, რომელიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების ქართული ლარიდან აშშ დოლარში გადაანგარიშებით.

11 სესხები

აშშ დოლარი	მიმდინარე	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი სესხები		
დაკავშირებული მხარეებისგან	1,187,512	125,683

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხების დაფარვის ვადა შეადგენს ერთ წელს და წლიური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7.12%.

იხილეთ შენიშვნა 19 დამატებითი ინფორმაციისთვის კომპანიის საპროცენტო განაკვეთისა და უცხოური ვალუტის რისკების ზემოქმედების შესახებ.

12 იჯარა

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	3,181,191	1,886,478
გრძელვადიანი	4,982,010	6,632,911
	8,163,201	8,519,389

კომპანიას აქვს იჯარა შენობასა და სამედიცინო აღჭურვილობაზე. გარდა მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების ძირითადი აქტივების იჯარისა, თითოეული იჯარა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე (როგორცაა იჯარის გადახდები კომპანიის გაყიდვების პროცენტზე დაფუძნებული) გამორიცხულია საიჯარო ვალდებულებისა და აქტივების საწყისი შეფასებიდან. კომპანია ახორციელებს აქტივების გამოყენების უფლების კლასიფიკაციას მისი ძირითადი საშუალებების თანმიმდევრულად (იხ. შენიშვნა 4).

ყოველი იჯარა, როგორც წესი, აწესებს მეზღუდავს, რომ, თუ არ არსებობს კომპანიის სახელმწიფოებო უფლება, ქვეიჯარით გადასცეს აქტივი სხვა მხარეს, სარგებლობის უფლების მქონე აქტივი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ კომპანიის მიერ. იჯარები არის არაგაუქმებადი ან შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ არსებითი შეწყვეტის საფასურის დაკისრებით. ზოგიერთი იჯარა შეიცავს არჩევანს, რომ იჯარით აღებული აქტივი პირდაპირ იყიდოს იჯარის დასრულების შემდეგ, ან გააგრძელოს იჯარა შემდგომი ვადით. კომპანიას ეკრძალება იჯარით აღებული აქტივების გაყიდვა ან დაგირავება უზრუნველყოფის სახით. შენობების იჯარის შემთხვევაში კომპანიამ უნდა შეინახოს ეს ქონება კარგ მდგომარეობაში და დააბრუნოს ქონება პირვანდელ მდგომარეობაში იჯარის დასრულების შემდეგ.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო საქმიანობის ბუნებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული სარგებლობის უფლების მქონე აქტივის ტიპის მიხედვით:

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით ფლო- ბილი აქტივის გამოყენების უფლების რაოდენობა	დარჩენი- ლი ვადის დიაპაზონი	დარჩენი- ლი საშუალო იჯარის ვადა	იჯარის რაოდენობა გაგრძელების უფლებით	იჯარის რაოდენობა შესყიდვის უფლებით	იჯარის რაოდენობა ინდექსთან დაკავშირებული ცვლადი გადახდით
შენობა	1	4	4	1	-	-
სამედიცინო ინვენტარი	8	2	2	-	2	2

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი საიჯარო აქტივით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია აშშ დოლარში)

აშშ დოლარი	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 30 დეკემბერი
ერთი წლის ვადაში დასაფარი		
საიჯარო გადახდები	3,660,224	2,627,111
ფინანსური ხარჯები	(613,323)	(740,633)
	3,046,901	1,886,478
ორიდან ხუთი წლის ვადაში დასაფარი		
საიჯარო გადახდები	5,918,763	7,356,501
ფინანსური ხარჯები	(802,463)	(1,364,556)
	5,116,300	5,991,945
ხუთი წლის შემდეგ დასაფარი		
საიჯარო გადახდები	-	690,000
ფინანსური ხარჯები	-	(49,034)
	-	640,966
წმინდა მიმდინარე ღირებულება	8,163,201	8,519,389

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	2,464,071	894,595
მიღებული ავანსები წილის გადაცემიდან	-	503,438
მიღებული ავანსები	2,254	-
გადასახდელი ხელფასები	883,675	119,454
საგადასახადო ვალდებულებები	723,326	139,148
სხვა	13,738	-
	4,087,064	1,656,635

2021 წლის 22 სექტემბერს რამდენიმე მხარეს, მათ შორის შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქს“ და შპს „საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს“ შორის გაფორმდა „კაპიტალში ინვესტიციის ხელშეკრულება“ რომლის საფუძველზე შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი“ დათანხმდა განახორციელოს შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქს“-ის კაპიტალში ინვესტიცია საერთო ოდენობით 500,000 აშშ დოლარი და თანხა გადაიხადა 2021 წელს. საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის წილი გადაცემულია შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისთვის“.

სავაჭრო გადასახდელებზე პროცენტი არ ირიცხება. კომპანიას აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ყველა გადასახდელის გადახდა საკრედიტო ვადებში.

იხილეთ შენიშვნა 19 დამატებითი ინფორმაციისთვის კომპანიის ექსპოზიციის უცხოური ვალუტის რისკის შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია აშშ დოლარში)

14 შემოსავალი

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	4,163,402	-
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	9,183,493	241,024
სადაზღვეო კომპანიებისგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	265,620	3,714
გამოკლებული: შესწორებები და ფასდაკლებები	(137,244)	(1,893)
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	13,475,271	242,845
შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან	-	102,669
შემოსავალი მენეჯერული, დიზაინისა და საინჟინრო მომსახურებიდან	2,042,891	1,308,636
შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან	2,042,891	1,411,305
	15,518,162	1,654,150

15 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები საბანკო სესხებზე	56,429	-
საპროცენტო ხარჯები საიჯარო შეთანხმებებზე	598,852	353,330
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარეების სესხებზე	19,507	2,570
სულ ფინანსური ხარჯი	674,788	355,900
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებული მხარეების სესხებზე	(2,706)	-
სულ ფინანსური შემოსავალი	(2,706)	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	(672,082)	(355,900)

16 შემდგომი მოვლენები

შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქსა“ და შპს „თიბისი ლიზინგს“ შორის საკონტრაქტო პირობების დარღვევის გამო, 2023 წლის 4 აპრილს, სსიპ „ენტერფრაის ჯორჯიამ“ შეწყვიტა კონტრაქტი შპს შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქსთან“ და მოითხოვა შეწყვეტის თარიღისთვის დაფინანსებული თანხის - 466,867 ლარის (182,835 აშშ დოლარის ექვივალენტი, 2023 წლის 4 აპრილის გაცვლითი კურსის შესაბამისად) დაბრუნება.

17 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

17.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებას აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, მიღებული საადრიცხო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალური შედეგისგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკ სამომავლოდ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მოთხოვნების გაუფასურება

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული მომხმარებლების ანგარიშების ამოღება. თუ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისი მისაღები ანგარიშები გაუფასურებულად ჩაითვლება. ამგვარი გაუარესების ნიშნების დადგენის მთავარი კრიტერიუმია მომხმარებლების მიერ დავალიანების დაფარვის ხარისხი, რომელიც ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობით (ე.ი. რამდენი დღით დაგვიანდა გადახდა). მომხმარებლების მიერ მიმდინარე და ძველი დავალიანების შესაბამისი ანალიზის საფუძველზე კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გამოიყენება სათანადო დარეზერვების განაკვეთი, რომელიც ასახავს დავალიანების დაფარვის კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს. თუ ასეთი მტკიცებულება არ არსებობს, შესაბამისი მისაღები ანგარიშები ფასდება კოლექტიურად, როგორც კარგი ხარისხის მქონე, მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონე მისაღები ანგარიშებში, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე, რაც ფაქტობრივად გულისხმობს ვადაგადაცილებული დღეების არაარსებით ოდენობას.

კოლექტიურად შეფასების მიზნებისთვის, ხელმძღვანელობის განსჯით, ისტორიულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად. კომპანია შეფასებების გადახედვას ახდენს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს პროგნოზებისგან და კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარემო არსებული გარემოებების საფუძველზე.

17.2 ძირითადი დამკვებები მომავალთან დაკავშირებით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ასახავს მნიშვნელოვან აკუმულირებულ ზარალს 2022 წლის 31 დეკემბრისთვის (3,385,868 აშშ დოლარი) (2021 წლის 31 დეკემბერი: 1,319,540 აშშ დოლარი) ასევე კომპანიას ჰქონდა მნიშვნელოვანი წმინდა ზარალი 2022 წლის (2,049,223 აშშ დოლარი) და 2021 წლის განმავლობაში (1,244,927 აშშ დოლარი), ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებები (8.5 მლნ აშშ დოლარი) 5.9 მლნ აშშ დოლარით აჭარბებს მიმდინარე აქტივებს (2.6 მლნ აშშ დოლარი).

თუმცა, კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას მისი აქციონერების ფინანსური მხარდაჭერით. მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანია დროულად შეასრულებს ყველა მნიშვნელოვან ვალდებულებას ან მოახერხებს გადახდის პირობებზე ხელახლა მოლაპარაკებას, რათა კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირების გაგრძელება მნიშვნელოვანი დანაკარგის გარეშე.

როგორც მე-5 და მე-12 შენიშვნაშია განმარტებული, კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობა, სადაც ფუნქციონირებს საავადმყოფო. იჯარის ვადა არის 6 წელი და შეიძლება შეწყდეს ორივე მხარის მიერ მნიშვნელოვანი ჯარიმის დაკისრებით. თუ შენობის იჯარა გაუქმდება რაიმე მიზეზით, ამ გარემოებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის შესაძლებლობებზე, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდამა საწარმომ უახლოეს მომავალში.

თუმცა, კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანია იჯარის ვადას გაგრძელება საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ.

ზემოთ აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დამკვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო.

18 ფინანსური ინსტრუმენტები

18.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

18.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 1	2,013,072	11,616
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	130,816	82,991
მთლიანი ფინანსური აქტივები	2,143,888	94,607

1 ეს თანხები მოიცავს მხოლოდ იმ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური ვალდებულებები

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სესხები	1,187,512	125,683
საიჯარო ვალდებულება	8,163,201	8,519,389
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,464,071	894,595
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	11,814,784	9,539,667

19 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები გამოწვეულია კომპანიას უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად დენომინირებულია ამერიკულ დოლარში და ევროში. კომპანიას ასევე აქვს სესხი დოლარში.

საპროცენტო რისკი

კომპანია აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან კომპანია ფლობს სესხებს რომელსაც აქვს როგორც ფიქსირებული ასევე ცვლადი პროცენტი. ამ რისკებს კომპანია მართავს ფიქსირებული და ცვლადი განაკვეთის სესხებს შორის შესაძლების პროპორციების შენარჩუნებით.

ქვემოთ მოცემული სენსიტიურობის ანალიზი ჩატარდა საპროცენტო განაკვეთების 3%-იანი ცვლილებისთვის. 3% წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შესახებ.

თუ საპროცენტო განაკვეთები იყო 3%-ით მაღალი/დაბალი და ყველა სხვა ცვლადი უცვლელი იქნებოდა, კომპანიის:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება შემცირდება/გაიზრდება 277,324 აშშ დოლარით;

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, მათ შორის, ნაღდი ფულის, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება კომპანიის მიზნებისთვის, კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკის მართვა საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულთან მიმართებაში ხდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

კომპანია მუდმივად აკონტროლებს კლიენტების საკრედიტო ხარისხს საკრედიტო რეიტინგის შეფასების საფუძველზე. სადაც შესაძლებელია, მიიღება და გამოიყენება გარე საკრედიტო რეიტინგები და/ან მოიპოვება და გამოიყენება ანგარიშები კლიენტებზე. კომპანიის პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ითამშრომლოს მხოლოდ კრედიტუნარიან კონტრაგენტებთან. საკრედიტო ვადები მერყეობს 30-დან 90 დღემდე. კლიენტების საკრედიტო პირობები მომხმარებლებთან მოლაპარაკების შედეგად ექვემდებარება შიდა დამტკიცების პროცესს, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რეიტინგის შეფასებას. მიმდინარე საკრედიტო რისკი იმართება ხანდაზმულობის ანალიზის რეგულარული მიმოხილვით.

კომპანია არ ფლობს რაიმე სახის გარანტიას სავაჭრო დებიტორულ ბალანსზე. გარდა ამისა, კომპანია არ ფლობს გირაოს სხვა ფინანსურ აქტივებთან (ნაღდი ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს ყველა სავაჭრო მოთხოვნის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, ვინაიდან ეს მუხლები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები შეფასებული იქნა ერთობლივად, ვინაიდან ისინი ფლობენ მსგავს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს. ისინი დაჯგუფებულ იქნენ განვლილი დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება 2022 წლის 31 დეკემბრამდე გაყიდვებისთვის გადახდის პროფილს, ისევე როგორც შესაბამის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგებს ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული განაკვეთები მორგებულია იმისთვის, რომ ასახავდეს მიმდინარე და საექსპედიციო მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კლიენტის უნარზე გადაუხადოს დავალიანება. კომპანიამ გამოავლინა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) და უმუშევრობის დონე ყველაზე რელევანტურ ფაქტორებად და შესაბამისად არეგულირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორების მოსალოდნელი ცვლილებებისთვის. თუმცა, საკრედიტო რისკის ქვეშ მყოფი მოკლე

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია აშშ დოლარში)

პერიოდის გათვალისწინებით, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად არ იქნა მიჩნეული.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მათი დაბრუნებისა. ასევე ვერ მოხერხდა ალტერნატიული გზებით თანხის ამოღება, მაშინ ხდება აღნიშნული მოთხოვნიდან მოსალოდნელი ზარალის გაანგარიშება.

ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდებს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების დასაფარად საჭირო არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ უახლოესი თარიღებისთვის, როდესაც შეიძლება კომპანიისგან მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს:

2022				
აშშ დოლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულებები	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი(%)		19%	13%	
6 თვეზე ნაკლები	2,464,071	1,830,112	399,454	4,693,637
6 თვიდან 1 წლამდე	-	1,830,112	37,010	1,867,122
1-5 წლამდე	-	5,918,763	-	5,918,763
	2,464,071	9,578,987	436,464	12,479,522

2021				
აშშ დოლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულებები	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი(%)		19%	7.12%	
6 თვეზე ნაკლები	894,595	1,313,556	22,653	2,230,804
6 თვიდან 1 წლამდე	-	1,313,556	107,554	1,421,110
1-5 წლამდე	-	7,356,501	-	7,356,501
	894,595	9,983,613	130,207	11,008,415

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ, ფულადი სახსრებისა და სავაჭრო დებიტორული დავალიანების შეფასებისა და მართვის პროცესში.

20 სამართლიანი ღირებულება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;

- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივის ან ვალდებულების; და
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

კომპანიას არ აქვს არანაირი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით.

21 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აცეცინებებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მფლობელთა კაპიტალისგან, რომელიც თავის თავში მოიცავს რეზერვებს, აკუმულირებულ მოგებას და სესხებს, რომლებიც განხილულია შენიშვნა 11-ში

მენეჯმენტი მუდმივად აფასებს კომპანიის კაპიტალის საჭიროებას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი).

კომპანია აკონტროლებს კაპიტალის მდგომარეობას „წმინდა ვალისა“ და „კორექტირებული კაპიტალის“ კოეფიციენტების მეშვეობით.

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
წმინდა სესხები		
სესხები	1,187,512	125,683
გამოკლებული: ფული საღაროში და საბანკო ანგარიშებზე	(130,816)	(82,991)
	1,056,696	42,692
კორექტირებული კაპიტალი		
მთლიანი კაპიტალი	(363,985)	495,707
	(363,985)	495,707
წმინდა სესხების ფარდობა კორექტირებულ კაპიტალთან	(2.90)	0.09

22 გაუთვალისწინებელი გარემოებები

22.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს სრული დაფარვა მისი ქარხნის ობიექტების, საქმიანობის შეფერხების ან მესამე მხარის პასუხისმგებლობის შესახებ საკუთრების ან გარემოსდაცვითი ზიანის გამო, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ქონებაზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად ან დაკავშირებულია კომპანიის ოპერაციებთან. სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვა ან განადგურება ან გარემოს ზიანს აყენებს არსებითად უარყოფით გავლენას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

22.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია აშშ დოლარში)

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

22.3 გარემოს დაცვა

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები. თუმცა საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელმაც შესაძლოა მომავალში წარმოშვას მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

23 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებებში ცვლილება ფინანსური აქტივობებიდან კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

აშშ დოლარი	მოკლევადიანი სესხები	იჯარა	სულ
2021 წლის 1 იანვარი	-	-	-
ფულადი ოპერაციები			
სესხის აღება	145,183	-	145,183
ძირის გადახდა	(48,289)	-	(48,289)
პროცენტის გადახდა	-	(8,959)	(8,959)
არაფულადი ოპერაციები			
საიჯარო ვალდებულების აღიარება	-	8,252,283	8,252,283
დარიცხული პროცენტი	2,570	409,235	411,805
სუბსიდირებული პროცენტი აწარმოე საქართველოს მიერ	-	(55,905)	(55,905)
საკურსო სხვაობიდან მოგება/ზარალი	(743)	(403,472)	(404,215)
რეკლასიფიკაცია სავაჭრო მოთხოვნებიდან	22,149	-	22,149
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებს სხვაობა	4,813	326,207	331,020
2021 წლის 31 დეკემბერი	125,683	8,519,389	8,645,072
ფულადი ოპერაციები			
სესხის აღება	1,034,080	-	1,034,080
ძირის გადახდა	(92,039)	(259,574)	(351,613)
პროცენტის გადახდა	(52,060)	(697,226)	(749,286)
არაფულადი ოპერაციები			
დარიცხული პროცენტი	75,937	697,106	773,043
სუბსიდირებული პროცენტი აწარმოე საქართველოს მიერ	-	(98,255)	(98,255)
საკურსო სხვაობიდან მოგება/ზარალი	1,057	(967,604)	(966,547)
რეკლასიფიკაცია სავაჭრო მოთხოვნებიდან	-	(69,568)	(69,568)
გადაფასება	-	(90,901)	(90,901)

ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია აშშ დოლარში)

აშშ დოლარი	მოკლევადიანი სესხები	იჯარა	სულ
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშის სხვაობა	94,854	1,129,834	1,224,688
2022 წლის 31 დეკემბერი	1,187,512	8,163,201	9,350,713

24 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მფლობელები და კომპანიის მენეჯმენტი, როგორც ადრერილია ქვემოთ.

24.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანია კონტროლდება ნადირ შაფიევის მიერ, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 92 %-ს და წარმოადგენს კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელს.

24.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

აშშ დოლარი ტრანზაქციები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მფლობელები		
სესხის აღება	94,031	-
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	4,635	-

სხვა		
სესხის მიღება	250,818	145,183
სესხის დაფარვა	(92,039)	(48,289)
დარიცხული პროცენტი	14,872	2,570

აშშ დოლარი ნაშთები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მფლობელები		
მიღებული სესხები	98,666	-
სხვა		
მიღებული სესხი	343,939	125,683
საიჯარო ვალდებულება	7,419,676	7,526,079

24.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები:

აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	311,735	246,957



მმართველობითი ანგარიშგება

შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“-AHT

ID: 402154342

2022 წელი


„ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი“ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის (US International Development Finance Corporation (DFC), ყოფილი OPIC) მხარდაჭერითა და საქართველოს სახელმწიფოსთან წარმოშობილი ერთობლივი ინტერესების გათვალისწინებით შეიქმნა. სწორედ ამიტომ არსებობს შეთანხმება აშშ-სა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის, სადაც დაინტერესებულ მხარეებად წარმოდგენილია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და რასაკვირველია, ამ ქვეყნების სამედიცინო, სამეცნიერო კვლევითი ინტერესების მატარებელი არაერთი სასწავლებელი თუ ინსტიტუცია. 2011-2015. წლებში მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფომ პირდაპირი მიყიდვის წესით გასცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, თბილისის ცენტრში, დ. უზნაძის 58 / უ. ჩხეიძის 17 ნომერში განთავსებული, უძრავი ქონება (ყოფილი სამედიცინო დაწესებულები), რითაც გამოხატა ნება და ინტერესი ძველი კლინიკების ადგილზე ახალი, საერთაშორისო სტანდარტების ჰოსპიტალის ამოქმედების თაობაზე. თანხმობის ერთ-ერთი პირობა საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან 18 მილიონი დოლარის ინვესტირება გახლდათ. რეალურად კი ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის საერთო ღირებულება და შესაბამისად, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიცია, დღეისთვის, უკვე გასცდა 50 მილიონ აშშ დოლარს. 25 000 მ²-ზე გაშენებული „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი“ ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სერვისებით.


„ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი“ მაღალი ხარისხის მომსახურებას უზრუნველყოფს ორგანიზაციული და საოპერაციო სისტემების მეშვეობით, რომელიც გულისხმობს პაციენტზე ორიენტირებულ სერვისებსა და მულტიდისციპლინარული მკურნალობის თანამედროვე მიდგომებს, პაციენტის ჯანმრთელობის სრულყოფისთვის.

ჰოსპიტალი იცავს მმართველობის თანამედროვე კონცეფციას, რომლითაც უზრუნველყოფს პაციენტზე ორიენტირებულ, მაღალხარისხიან სამედიცინო მომსახურებას. სწორედ ამიტომ, პროექტს გააჩნია ამბიცია - საქართველოს სამედიცინო მომსახურების რუკაზე შეიტანოს ცვლილება. კერძოდ, 2020 წლის 20 ოქტომბერს საქართველოში გაიხსნა პირველი გლობალური მასშტაბის ჰოსპიტალი, რომელიც მომდევნო ერთი წლის განმავლობაში გაივლის Joint Commission International (JCI)- ის სრულ აკრედიტაციას. JCI-ის აკრედიტაციის შესახებ JCI დამოუკიდებელი, არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, აფასებს ჯანდაცვის ორგანიზაციებს და, მაღალი სტანდარტების შემთხვევაში, ანიჭებს მათ აკრედიტაციას.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა - მმართველობა

კომპანია იმართება დირექტორის მიერ, რომლის დაქვემდებარებაში არის C-LEVEL მენეჯმენტი, რომელიც შედგება სამედიცინო დირექტორის, ფინანსური დირექტორის, ხარისხის დირექტორის, და სხვა შესაბამისი დარგების მენეჯერებისგან. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ორგანიზაციაში არსებული სამედიცინო ხარისხის კონტროლის სამსახურისა, რიგ შემთხვევებში ხარისხის კონტროლი ხდება უცხოელი აუდიტორების მიერ. კლინიკაში დასაქმებულია 815-მდე თანამშრომელი, ამჟამად მოქმედებს ინტიტუტის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგი სახით:






კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან - 13,475,271 აშშ დოლარი

სხვა შემოსავალი - 2,042,891 აშშ დოლარი

2022 წლის განმავლობაში კლინიკაში განხორციელდა 94657 ამბულატორიული, 3222 დღის სტაციონარისა და 12675 სტაციონარული ვიზიტი, მათ შორის 6593 ქირურგიული ჩარევა.



AHT წარმოადგენს 183 საწოლიან მულტიპროფილურ კლინიკას, სადაც ფუნქციონირებს ბავშვთა და მოზრდილთა გადაუდებელი დახმარების და ინტერნსიური თერაპიის ერთეულები, 6 ფლიგელში განთავსებული სტაციონარული სივრცე, სრულად აღჭურვილი დიაგნოსტიკური სამსახური, რენტგენოგრაფია და სკოპია, სრული ულტრაბგერითი კვლევა, მაღალტექნოლოგიური ლაბორატორია, რეგიონში უალტერნატივო აპარატურით აღჭურვილი ენდოსკოპიური კაბინეტები), ორ სართულზე განთავსებული ამბულატორიული სივრცე. კლინიკაში ფუნქციონირებს კათეტერიზების ორი ლაბორატორია, 6 საოპერაციო (მე-7 სარეზერვო), ორი სამანიპულაციო, ქიმიოთერაპიის 18 ადგილიანი სივრცე, 24 საათიანი ფარმაცია. თითოეული სივრცე აღჭურვილია ულტრა-თანამედროვე აპარატურით, დაცულია უსაფრთხოების უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტები.

„ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ამბიციური სამედიცინო კონცეფციაა ექსელენს ცენტრები. ესაა სპეციალიზებული ცენტრები, რომლებიც თითოეული ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზეა ორიენტირებული. ცენტრებს ქართული მედიცინის უმაღლესი კლასის პროფესიონალები ხელმძღვანელობენ. სწორედ მათი ჩართულობით თანამშრომლობს „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი“ ქართულ, თურქულ და აშშ-ს საუნივერსიტეტო კლინიკებთან. ჰოსპიტალი ოპერირებს შემდეგი „ექსელენს ცენტრებით“:

- ❖ გულის, სისხლძარღვთა და ფილტვის პათოლოგიების ცენტრი;
- ❖ ნევროლოგიისა და ნეირომეცნიერებათა ცენტრი;
- ❖ ზოგადი და მინი-ინვაზიური ქირურგიის ცენტრი;
- ❖ ორთოპედიული ცენტრი;
- ❖ ამბულატორიული ცენტრი;
- ❖ ტრანსპლანტაციის ცენტრი;
- ❖ ბარიატრიული და მეტაბოლური ქირურგიის ცენტრი

გულის, სისხლძარღვთა და ფილტვის პათოლოგიების ექსელენს ცენტრში წარმოდგენილია:

- ❖ კარდიოლოგია;
- ❖ ინტერვენციული კარდიოლოგია;
- ❖ შინაგანი მედიცინა;
- ❖ პულმონოლოგია;
- ❖ არითმოლოგია და ელექტროფიზიოლოგია;
- ❖ კარდიოქირურგია;
- ❖ მინი ინვაზიური კარდიოქირურგია;
- ❖ თორაკალური ქირურგია;
- ❖ ვასკულარული ქირურგია;

ნევროლოგიის და ნეირომეცნიერებათა ექსელენს ცენტრში წარმოდგენილია:

- ❖ ნევროლოგია;
- ❖ ნეიროქირურგია;
- ❖ ენდოვასკულური ნეიროქირურგია.

ზოგადი და მინი ინვაზიური ქირურგიების ექსელენს ცენტრში წარმოდგენილია:

- ❖ ზოგადი ქირურგია;
- ❖ ონკო-ქირურგია;
- ❖ ბარიატრიული ქირურგიის ცენტრი;
- ❖ უროლოგია;
- ❖ გინეკოლოგია;
- ❖ ოტორინოლარინგოლოგია;
- ❖ ყბა-სახის ქირურგია;
- ❖ თავ-კისრის ქირურგია;
- ❖ პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია;
- ❖ კანისა და რბილი ქსოვილების ქირურგია.

ორთოპედია/ტრავმატოლოგიის ექსელენს ცენტრში წარმოდგენილია:

- ❖ ორთოპედია/ტრავმატოლოგია;
- ❖ ორთოპედიული ქირურგია;
- ❖ ტრავმის ქირურგია;
- ❖ ართროსკოპული ქირურგია.

ჰოსპიტალში ფუნქციონირებს შემდეგი ამბულატორიული სერვისები:

- | | |
|--|--------------------------------------|
| ❖ კარდიოლოგია; | ❖ პედიატრია; |
| ❖ შინაგანი მედიცინა; | ❖ ორთოპედიული ტრავმატოლოგია; |
| ❖ პულმონოლოგია; | ❖ ზოგადი ქირურგია; |
| ❖ ნევროლოგია; | ❖ რბილი ქსოვილების და კანის თერაპია; |
| ❖ ნეიროქირურგია; | ❖ ოტორინოლარინგოლოგია; |
| ❖ ეპილეფსიისა და ძილის დარღვევის ცენტრი; | ❖ ბარიატრიული ცენტრი; |
| ❖ ენდოკრინოლოგია; | ❖ ფსიქიატრია; |
| ❖ გინეკოლოგია; | ❖ ფსიქოლოგია; |
| ❖ უროლოგია; | ❖ ენდოსკოპია; |
| ❖ პროქტოლოგია; | ❖ რევმატოლოგია; |
| ❖ კლინიკური ონკოლოგია; | ❖ ტრავმატოლოგია; |
| ❖ მამოლოგია; | ❖ გასტროენტეროლოგია |
| ❖ დერმატოლოგია; | |

„ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის“ ლაბორატორიულ ცენტრში განთავსებულია საერთაშორისო ლიდერი კომპანიების ულტრათანამედროვე აპარატურა, როგორებიცაა ROCHE, SYSMEX, SIEMENS, რომელიც უზრუნველყოფს

- ❖ ინდივიდუალური მიდგომასა და კომპლექსური მკურნალობა;
- ❖ პაციენტებზე ორიენტირებულ ლაბორატორიულ მომსახურებას.

„ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის“ სრულად აღჭურვილია მონაცემების მიმოცვლის პნევმატური სისტემით, რომლითაც უზრუნველყოფილია


- ❖ მედიკამენტების სწრაფი და უსაფრთხო ტრანსპორტირება;
- ❖ დაბინძურების რისკის შემცირება;
- ❖ რესურსის გონივრული გამოყენება;
- ❖ ეფექტურობა;
- ❖ სამედიცინო პერსონალისთვის დახმარების გაწევა;
- ❖ მეტი დროის რესურსი პაციენტებისთვის;
- ❖ ლაბორატორიული ანალიზების შედეგების მიწოდების უზრუნველყოფა.

„ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის“ ინტერვენციული კარდიოლოგიის დეპარტამენტი აღჭურვილია ამერიკული კომპანია „ჯენერალ ელექტრიკის“ უახლესი, 5100 მოდელის, ანგიოგრაფის აპარატით, რომელიც დაპროგრამებულია სისხლძარღვების რენტგენით გამოკვლევისთვის. ანგიოგრაფის აპარატი გამოიყენება თავის ტვინის, ქვემო კიდურებისა და გულის სისხლძარღვების კონტრასტული კვლევისთვის, აღნიშნული აპარატის უპირატესობებია:

- ❖ მაღალი ხარისხის გამოსახულება;
- ❖ მინიმუმამდე დაყვანილი კვლევის დრო;
- ❖ კონტრასტი;
- ❖ მინიმუმამდე დაყვანილი პოტენციური გართულებები.

უახლესი ენდოსკოპი ხელოვნური ინტელექტით, „ამერიკულ ჰოსპიტალ თბილისში“:

- ❖ ტექსტურისა და ფერების გაუმჯობესებული ხარისხი;
- ❖ ნათელი და მკვეთრი 4K გამოსახულება, მაქსიმალური სიზუსტისთვის;
- ❖ მეტი სისწრაფე, ხარისხი და უსაფრთხოება, მკურნალობის პროცესში.



განვითარების გეგმები

კლინიკის უცვლელი სტრატეგიული კურსია, იყოს ორიენტირებული მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვაზე, რათა მრავალი სახის სამედიცინო მომსახურების მიღება ხელმისაწვდომი გახდეს საქართველოში. კლინიკის მთავარი მიზანია მუდამ იქნება დანერგოს უახლოესი ტექნოლოგიები დაავადებათა ადრეული იდენტიფიკაციისთვის და იზრუნოს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობას, პაციენტთა დროულ მკურნალობას და მათი სიცოცხლის გახანგრძლივებას. ჩვენი მისიაა ვიხელმძღვანელოთ საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებით, მედიცინის უახლესი მიღწევებით და შევქმნათ პაციენტზე ორიენტირებული მომსახურება. ვისწავლოთ ჩვენს ამერიკელ პარტნიორებთან ერთად და გავავრცელოთ ცოდნაც. - დავეხმაროთ საქართველოს ჯანდაცვის სისტემას ევოლუციაში, გავხდეთ ყველაზე სანდო სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები და უზრუნველყოთ ჩვენი პაციენტების ჯანმრთელობა.

➤ სამედიცინო ტურიზმი

2021 წლიდან კლინიკაში დაინერგა სამედიცინო ტურიზმი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავლები უცხოელი პაციენტებისა და Check Up-ის მიმართულებით. Check Up-ი ჯანმრთელობის პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევაა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკისთვის, რომელიც შესაძლებელს ხდის სიმპტომების გამოვლენამდე აღმოფხვრათ პოტენციური პრობლემები. Check Up-ის ფარგლებში პირადი მენეჯერის დახმარებით ტარდება ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები, სპეციალისტთან კონსულტაციები ორგანიზმის ფუნქციური და ანატომიური მდგომარეობის შესაფასებლად, რაც თავისთავად ამცირებს ავადმყოფობის რისკს, ზრდის განკურნების შანსებს, ავლენს დაავადებების ადრეულ სტადიებს, ამცირებს სამედიცინო ხარჯებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ახანგრძლივებს სიცოცხლეს. მიწოდებას. ჰოსპიტალში სტუმრობამდე, ვიზიტორებს 360° ტურის მეშვეობით, საშუალება აქვთ ვირტუალურად გაეცნონ ჰოსპიტალში არსებულ გარემოს და დაათვალიერონ ისეთი სივრცეებიც, რომლებიც როგორც წესი დახურულია ვიზიტორებისთვის.

➤ ღვიძლის ტრანსპლანტოლოგია

ჰოსპიტალის ტრანსპლანტოლოგიის ექსპლენს ცენტრში დაინერგა ღვიძლის ტრანსპლანტაცია. ცოტა რამ აღნიშნული ურთულესი ქირურგიული ჩარევის შესახებ: ღვიძლის ტრანსპლანტაცია პირველად 1963 წელს ჩაატარა ამერიკელმა ქირურგმა თომას სტარლზმა. მას შემდეგ სამედიცინო ტექნოლოგიები თუ ოპერაციის შემდგომი მენეჯმენტი დაიხვეწა და ღვიძლის ტრანსპლანტაცია მსოფლიოში ყოველწლიურად 15 000-მდე ადამიანს უტარდება. ტექნოლოგიებით, ქირურგიული კლასით თუ პოსტოპერაციული მართვით ღვიძლის გადანერგვა ერთ-ერთ ურთულეს ოპერაციად მიიჩნევა. ღვიძლის დაავადების ბოლო სტადიის მქონე პაციენტებისთვის ღვიძლის ტრანსპლანტაცია წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას სამუდამო განკურნებისთვის. ჯანსაღი ღვიძლი პასუხისმგებელია არსებით ფუნქციებზე, მათ შორის მეტაბოლიზმზე, დეტოქსიკაციაზე, იმუნურ ფუნქციაზე და კოაგულაციაზე. ადამიანს არ შეუძლია ღვიძლის გარეშე ცხოვრება და აპარატი ან მოწყობილობა ვერ ჩაანაცვლებს მის ფუნქციას. ამიტომ, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობის მქონე პაციენტებს და ღვიძლის ზოგიერთი მწვავე დაავადების მქონე პაციენტებს სჭირდებათ ჯანსაღი ორგანოს გადანერგვა. ღვიძლის გადანერგვის ოპერაციის დროს ხდება დაავადებული ღვიძლის ამოკვეთა ორგანიზმიდან და მისი ჩანაცვლება დონორის ჯანსაღი ორგანოთი. ოპერაცია გულისხმობს სისხლძარღვების და ნაღვლის სადინრების ხელახლა შეერთებას, რათა ახალმა ორგანომ შეძლოს ნორმალურად ფუნქციონირება. AHT-ში დაინერგა ღვიძლის ტრანსპლანტაციის ორთოტოპურ მეთოდი, რომელიც მთელ მსოფლიოში „ოქროს სტანდარტად“ ითვლება. ღვიძლის გადანერგვა ერთ-ერთ ყველაზე რთულ ქირურგიულ ჩარევად ითვლება. მთელი პროცესის განმავლობაში ის მოითხოვს მაღალი დონის გამოცდილებას. წარმატებული შედეგებისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც პაციენტის კომპეტენტური შეფასება, ისე ქირურგიული ჩარევა, ინტენსიური მკურნალობა და ოპერაციის შემდგომი დაკვირვება. თირკმლის პირველი გადანერგვა საქართველოში განხორციელდა 1977 წელს. ეს იყო გვამური ტრანსპლანტაცია. ასოციაციასთან არსებულ ტრანსპლანტაციის საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე მყოფ პაციენტთა საერთო რაოდენობა: 473, მათგან თირკმელგადანერგილია: 327, ღვიძლგადანერგილია: 140, გულგადანერგილია: 6, საქართველოში ნაოპერაციებია: 430. ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას თან ახლავს გარდაუვლად დიდი ფინანსური დანახარჯები. საქართველოში ღვიძლის გადანერგვის ოპერაციის მზარდი სტატისტიკიდან გამომდინარე, 2023 წლის მთავრობის დადგენილებით, სახელმწიფო სრულად დააფინანსებს როგორც დიაგნოსტიკასთან, ასევე ოპერაციასთან დაკავშირებით არსებულ დანახარჯებს, არაუმეტეს 120000 ლარით.

➤ ხელოვნური ინტელექტის დანერგვა

➤ სამედიცინო გადაწყვეტილებების მიღება

პაციენტის კონკრეტული შემთხვევისთვის მკურნალობის საუკეთესო და უახლესი მეთოდების მოძიება, თანაც, მისთვის შესაბამისი მზრუნველობის გაწევა, ექიმებისგან ძალიან დიდ რესურსს მოითხოვს. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიების გამოყენებით, ჯანდაცვის პროფესიონალებს უახლეს ბიოსამედიცინო მონაცემებსა და ჯანდაცვის ელექტრონულ ჩანაწერებში შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების პროცესი უმარტივდებათ. მაგალითად, ზოგიერთ ინსტრუმენტს აქვს ბუნებრივი ენის დამუშავების უნარი, რაც ექიმებს საშუალებას აძლევს კითხვები დასვან ისე, როგორც მათ სამედიცინო კოლეგას დაუსვამდნენ. შედეგად კი, სწრაფი და სანდო პასუხები მიიღონ. ამის გარდა, ხელოვნური ინტელექტის საშუალებით მილიონობით ქიმიური ნაერთის გადარჩევა, კონკრეტული შემთხვევისთვის ყველაზე სასარგებლო კომპონენტების ამორჩევა და მედიკამენტის სწორი დოზის შერჩევაა შესაძლებელი.

➤ დიაგნოსტიკა

ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, ზუსტი დიაგნოზის დასმა და შესაძლო ფატალური დაავადებების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა შესაძლებელი. მაგალითად, AI-ით გაძლიერებული მიკროსკოპების დახმარებით, ჯანდაცვის სპეციალისტებს სისხლში მავნე ნივთიერებებისა და

ბაქტერიების იმაზე სწრაფად და ზუსტად აღმოჩენა შეუძლიათ, ვიდრე ეს მანუალურად მუშაობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. დიაგნოსტიკების მიმართულებით აღსანიშნავია ხელოვნური ინტელექტის სამედიცინო გამოსახულებების გაანალიზების პროცესში გამოყენებაც. მაგალითად, ტიპურ კლინიკურ კვლევაში შეიძლება დაგროვდეს მონაცემთა ათასობით გამოსახულება, რომელთა სათითაოდ შესწავლაა აუცილებელი. AI კი აადვილებს მათ გაშიფვრასა და გარკვეული პატერნების გამოვლენას. ამის გარდა, ამგვარი ტექნოლოგიები სამედიცინო სფეროში ყოველდღიურ პროცესებშიც გამოიყენება – თუნდაც კომპიუტერული ან მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის შედეგების გაანალიზებისა და დიაგნოზის დასმისას.

➤ ჩატბოტები და ჯანმრთელობის ვირტუალური ასისტენტები

ჩატბოტების საშუალებით, მომხმარებლებს შეუძლიათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე – მათ შორის, გადახდის პროცესებზე, ავადმყოფობასა და სიმპტომებზე – შესაბამისი პასუხები მიიღონ. ჯანმრთელობის ვირტუალური ასისტენტები კი პასუხისმგებელნი არიან ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა პაციენტის სამედიცინო ინფორმაციის მართვა, სენსიტიური მონაცემების დაფარვა, ექიმებთან შეხვედრების დაგეგმვა, მათთვის შეხსენებების გაგზავნა და ა.შ.

➤ ავტომატიზაცია

ჯანდაცვის სფეროში ხელოვნური ინტელექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი როლი შრომატევადი ამოცანების შესრულების პროცესის ავტომატიზებაა. ეს შეიძლება იყოს თუნდაც საჭირო სამედიცინო მონაცემების შესაბამისი პროფესიონალებისთვის გადაცემა. აღნიშნული კი მომსახურების მიმწოდებლებს მეტი თავისუფალი დროით უზრუნველყოფს და მათ სხვა მნიშვნელოვან დავალებებზე ფოკუსირების საშუალებას აძლევს. ჰოსპიტალში 2023 წლის ბოლოსთვის დასრულებულია როგორც სამედიცინო, ასევე ფინანსური და საოპერაციო სისტემების ავტომატიზირება და მონაცემთა ბაზების სინქრონიზაცია.

- თბილისიში 2 ამბულატორიული კლინიკის გახსნა
- პედიატრიული კლინიკისა და სამშობიროს გახსნა
- ამერიკული ჰოსპიტლის ბაზაზე ბათუმში ჰოსპიტლის გახსნა

➤ ამერიკულ ჰოსპიტალ თბილისში Joint Commission International JCI აკრედიტაციის დანერგვა

ჰოსპიტალში JCI-ის დანერგვის გუნდი შედგება 15 წევრისაგან. 2022 წლის ოქტომბერში გუნდი სპეციალურად გადამზადდა JCI კონსულტანტების მიერ JCI სტანდარტების მიზნით. 2023 წლის იანვარ-მარტში ხარისხისა და აკრედიტაციის დეპარტამენტის დირექტორმა გაიარა JCI Advanced Quality Management ტრენინგი, რის შემდეგაც დაიწყო აკრედიტაციის დანერგვის უშუალო პროცესი. JCI-ის განმახორციელებელმა ჯგუფმა შექმნა JCI სტანდარტებით მოთხოვნილი ყველა მარეგულირებელი პოლიტიკის დოკუმენტები და პროცედურები და მათი 80% უკვე დანერგილია საოპერაციო პროცესებში. მიმდინარე რეჟიმში ხდება პერსონალის გადამზადება და ახალი სტანდარტების დანერგვა საერთაშორისო და JCI სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

AHT-მა დანერგა პაციენტის უსაფრთხოების უნიკალური მეთოდოლოგიები, მათ შორის პაციენტის იდენტიფიკაცია, პაციენტის გადაბარება, კლინიკური ინფორმაციის კომუნიკაციის წესები, ქირურგიული კითხვარები, პაციენტის კლინიკური მოვლის პროგრამები, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გაიდლაინები, მედიკამენტების მართვის სისტემები, სრულად ციფრული სამედიცინო ჩანაწერები, ინფექციების კონტროლის პროგრამები, ტრანსპლანტაციის სერვისების მართვის პროგრამები, პაციენტებისა და ოჯახის განათლების პროგრამები და ა.შ.

შეიმუშავა და დანერგა საექთნო მოვლის პროცესები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მათ შორის საექთნო შეფასება, საექთნო მოვლის გეგმა, პაციენტების საექთნო მონიტორინგი,

პაციენტის წაქცევის რისკის შეფასება და პაციენტის წაქცევის მართვა, პაციენტის გაწერის პროცესები და საექთნო სამედიცინო დოკუმენტაცია. ჰოსპიტალის ინფრასტრუქტურა სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და ადგილობრივ რეგულაციებს. JCI მოთხოვნების შესაბამისად, საავადმყოფომ დამატებით შექმნა ინფრასტრუქტურის მართვის 8 პროგრამა, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო პროგრამა, კატასტროფების მართვის პროგრამა, დაწესებულებების უსაფრთხოების პროგრამა, სამედიცინო აპარატურის უსაფრთხოების პროგრამა და ა.შ. აღნიშნული პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ჰოსპიტალში ტარდება ტრენინგები და სიმულაციური წვრთნები შრომის უსაფრთხოების გუნდის ჩართულობით.

2024 წლის იანვარში დაგეგმილი აკრედიტაციის წინა იმიტირებულ აუდიტის ჩატარების მიზნით შეირჩა გარე კონსულტანტი, რომელიც გაუმჯობესების აქტივობებს JCI-ის აუდიტის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად.

JCI აუდიტის ჩატარება იგეგმება 2024 წლის პირველი ნახევარში.

ინფორმაცია გარემოს დაცვითი ღონისძიებების შესახებ

კლინიკაში ყოველწლიურად ხორციელდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსთვის წლიური ანგარიშის წარდგენა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანამშრომლების დოზური დატვირთვის და აპარატურის მუშაობის ხარისხის შესახებ. კლინიკაში არსებულ აპარატურას რომელიც არის რადიაციის მაგნიტირებელი ან აფიქსირებს მას, უტარდება პერიოდული ხარისხის კონტროლი და კალიბრაცია. რომელიც ეფუძნება არსებულ კანონმდებლობას და ამასთანავე ადაპტირებულია ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკური რეგლამენტების მიხედვით. რადიაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით თანამშრომლებისთვის პერიოდულად ტარდება პერსონალური დოზიმეტრია, რაც ითვალისწინებს კონტროლირებად ზონაში მომუშავე კადრის დოზური დატვირთვის შეფასებას ყოველთვიურად.

სამედიცინო ნარჩენების უტალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია საკითხია. ნარჩენების გარემოზე მავნედ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება შესაძლებელი პროცესების სწორად მართვით. სამედიცინო მარაგების მართვის პროცედურები, რომელიც კომპანიაშია დანერგილი, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს და ადგენს შესაბამის პროცედურებს ამ რისკებთან განსამკლავებლად. ჩვენ დავნერგეთ სამედიცინო ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა. პერსონალი ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ავსებს სპეციალიზებულ ფორმებს, სადაც კონკრეტულად არის მითითებული ნარჩენის სახეობა, წონა და ტრანსპორტირების ფორმა. კომპანიაში ჩატარდა შიდა ტრენინგები ამ თემაზე, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში თანამშრომლებს შესაბამისი სერტიფიკატები დაურიგდათ.

კომპანია ოპერირებს ბიზნესგარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება კომპანიის რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში. კომპანიაში გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლები, რათა კლინიკამ კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. კლინიკის იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა მატერიალური ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში. კლინიკაში რეგულარულად ტარდება ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც გამოცდილი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდის მიერ კეთდება. შედეგები განიხილება კლინიკური უსაფრთხოებისა და ხარისხის მიმართულების მიერ ყოველკვარტალურად. კლინიკის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი ექიმები და სხვა პროფესიონალები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, კლინიკის განვითარება, შეთავაზებული სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური ექიმების, მედლებისა და სხვა პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და კომპანია ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება მაღალ ბონუსებსა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ კლინიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსაგან მიღებულ შემოსავალზე. სახელმწიფომ შესაძლოა დააგვიანოს თანხების ჩარიცხვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. შემცირებულმა ტარიფებმა და გადახდის ვადის გაზრდამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს შემოსავალსა და მომგებიანობაზე. კლინიკა ამ რისკის შემცირებას ცდილობს და დაწყებული აქვს მუშაობა შემოსავლების დივერსიფიკაცისა და ამბულატორიული სერვისების რაოდენობის და სამედიცინო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდაზე. კლინიკას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი. კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს და/ან ეს ინფორმაცია მესამე პირის ხელში მოხვდეს. ამ რისკების მინიმიზაციის მიზნით, 2021 წელს, კლინიკამ დააარსა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების დეპარტამენტი და ის მაღალკვალიფიციური კადრებით დააკომპლექტა. 2022 წლის ბოლოსთვის დასრულდა კიბერ უსაფრთხოების შესახებ გაწერილი სამოქმედო გეგმა. კომპანია ასევე თანამშრომლობს კონტრაქტორ კომპანიასთან კიბერ-უსაფრთხოების საკითხებში.

ფინანსური რისკები - საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე - საკრედიტო, ლიკვიდურობისა და სავალუტო რისკები. საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კლინიკის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს, რომელიც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნაგანმარტებით შენიშვნებში.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 14 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: / ერჯან აიილდიზ /

ფინანსური დირექტორი: / ირაკლი ფოლადაშვილი /

Two handwritten signatures in blue ink are positioned over horizontal dashed lines. The first signature is larger and more stylized, while the second is smaller and more compact.

AMERICAN
HOSPITAL TBILISI